საქმე №დს-შ/8-15 **13 ივლისი, 2015 წელი**
ქ. თბილისი
მიღების ადგილი

საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:

მაია ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი მოსამართლე)
მოსამართლეები: ვასილ როინიშვილი,
ნუგზარ სხირტლაძე

საჩივრის ავტორი - მოქალაქე რ. ლ.

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

გასაჩივრებული გადაწყვეტილებები - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 2 ივნისის №114/13 და 2015 წლის 4 აპრილის №022/15 გადაწყვეტილებები

სადისციპლინო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მოქალაქე რ. ლ-ის საჩივრის დასაშვებობის საკითხი სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 2 ივნისის №114/13 და 2015 წლის 4 აპრილის №022/15 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის შესახებ.

სადისციპლინო პალატამ საქმის მასალების გაცნობის შედეგად
გამოარკვია:

2013 წლის 4 სექტემბერს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას საჩივრით მიმართა რ. ლ-ემ და ადვოკატ ვ. ხ-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. საჩივრის ავტორის განმარტებით, 2013 წელს ბათუმის საქალაქო სასამართლოში იხილებოდა მისი განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, სადაც ადვოკატი ვ. ხ-ი მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს წარმოადგენდა. საჩივრის ავტორის მითითებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოში გამართული პროცესის დასასრულს ადვოკატმა ვ. ხ-მა საჯაროდ მიაყენა მას შეურაცხყოფა, უწოდა ნარკომანი და მიმართა შემდეგი სიტყვებით: „როდესაც ნარკოტიკის გაკეთებას დავიწყებ, მოვალ და ნარკოტიკს შენგან ვიყიდი“, რითაც ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები.

ეთიკის კომისიის სხდომაზე ადვოკატმა ვ. ხ-მა დაადასტურა, რომ აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი, მას შემდეგ რაც საჩივრის ავტორმა მას არაკაცი უწოდა. თუმცა მიიჩნევს, რომ თავშეკავება უნდა გამოეჩინა და სასამართლოს მოუბოდიშა კიდეც აღნიშნული ფაქტის გამო.

ეთიკის კომისია დაეყრდნო რა წარმოდგენილ წერილობით მტკიცებულებებს, მხარეთა ახსნა-განმარტებებს, დადგენილად მიიჩნია, რომ ადვოკატის მხრიდან ადგილი ჰქონდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტითა და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-9 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული წესების დარღვევას. ადვოკატ ვ. ხ-ს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად გაფრთხილება განესაზღვრა.

2015 წლის 17 მარტს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას საჩივრით ისევ მიმართა რ. ლ-მ და ადვოკატ ვ. ხ-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. საჩივრის ავტორის განმარტებით, სამკვიდროს გაყოფასთან დაკავშირებით მასა და ყ., თ. და ნ. ლ-ეებს შორის მიმდინარეობდა სასამართლო დავა. თავდაპირველად ადვოკატი 2008 წლის 24 ნოემბრისა და 12 დეკემბრის რწმუნებულებებით იცავდა თ., ნ. და ყ. ლ-ეების ინტერესებს, ხოლო 2008 წლის 18 დეკემბერს სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მისი მარწმუნებლის - ყ. ლ-ის სახელით, სადაც მოპასუხედ ჩართო თ. და ნ. ლ-ები. ამდენად, ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობისას არათუ შეწყვიტა ყველა კლიენტის საქმის წარმოება, არამედ სარჩელით მიმართა სასამართლოს, სადაც მოპასუხე მხარედ ჩართო თავისივე მარწმუნებლები.

ეთიკის კომისიის სხდომაზე ადვოკატმა ვ. ხ-მა განაცხადა, რომ ყ. ლ-ის სახელით სასამართლოს მიმართა 2008 წლის 12 დეკემბერს და მესამე პირებად მიუთითა თ. და ნ. ლ-ები, რომელთა ინტერესებსაც იცავდა ადვოკატი ა. თ-ე.

აღნიშნულ დისციპლინურ საქმესთან დაკავშირებით ეთიკის კომისიამ შეწყვიტა დისციპლინური საქმისწარმოება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ვინაიდან გასული იყო საქმის განხილვისთვის ამ კანონით დადგენილი 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 2 ივნისის №114/13 და 2015 წლის 4 აპრილის №022/15 გადაწყვეტილებები რ. ლ-ემ უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში გაასაჩივრა და მათი ბათილად ცნობა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა მოქალაქე რ. ლ-ის საჩივრის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი არ არის დასაშვები შემდეგ გარემოებათა გამო.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ადვოკატს უფლება აქვს მისთვის გადაწყვეტილების გადაცემიდან 1 თვის ვადაში გაასაჩივროს იგი უზენაეს სასამართლოში. ამასთან, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს ამ ადვოკატის მიერ მისთვის გადაწყვეტილების გადაცემიდან 1 თვის განმავლობაში კანონით დადგენილი წესით. აღნიშნული ნორმების იმპერატიული დანაწესიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებაზე უფლებამოსილი პირია მხოლოდ ის ადვოკატი, რომლის მიმართაც მიღებულია ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება და რომელსაც დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის 61-ე, 62-ე და 68-ე მუხლებით (კანონის ანალოგია) და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. რ. ლ-ის საჩივარი სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 2 ივნისის №114/13 და 2015 წლის 4 აპრილის №022/15 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის თაობაზე დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის მოტივით;
2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე /მაია ვაჩაძე/

მოსამართლეები: /ვასილ როინიშვილი/

/ნუგზარ სხირტლაძე/